

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: სლავური ფილოლოგია / Slavic Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Philology

სპეციალიზაცია: რუსული ფილოლოგია/ პოლონური ფილოლოგია /უკრაინული ფილოლოგია
Russian Philology/ Polish philology/ Ukrainian philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა *სლავური ფილოლოგია* შედგება სამი სასპეციალიზაციო მოდულისაგან რუსული ფილოლოგია, პოლონური ფილოლოგია, უკრაინული ფილოლოგია.

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით **ფილოლოგიის** მაგისტრის (სპეციალობით *რუსული ფილოლოგია, პოლონური ფილოლოგია, უკრაინული ფილოლოგია*) აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **120 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **30 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის *სლავური ფილოლოგიის* სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს.
- **40 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სასპეციალიზაციო მოდულების სავალდებულო კურსებისათვის (ანალოგიური რაოდენობა სამივე მოდულისათვის);
- **20 ECTS კრედიტი** ეთმობა პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებს. არჩევითი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი საგნის არჩევა როგორც საკუთარი სპეციალობის, ისე მონათესავე პროფილის სამაგისტრო პროგრამებიდან.
- **30 ECTS კრედიტი** განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, პროგრამის ძირითადი 30 ECTS კრედიტის და რომელიმე არჩევითი სასპეციალიზაციო მოდულის სავალდებულო 40 კრედიტის შესრულება, აგრეთვე ევროპული ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა / ან გამოცდის ჩაბარება.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი: განათლების სისტემის მდგომარეობის და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებისა და გზების განსაზღვრა მოითხოვს სოციალურ პოლიტიკური კონტექსტისა და განათლების სფეროს ყველა სოციალური სუბიექტის ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებას. აღნიშნულ სფეროში ახალი სოციო პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, *სლავური ფილოლოგიის* სამაგისტრო პროგრამის მიზანია, ერთი მხრივ, სწავლების ორგანიზაციის ახლებური ტექნოლოგიების დანერგვა და საერთაშორისო პრაქტიკასთან და სტანდარტებთან დაახლოება, ხოლო, მეორე მხრივ, იმ შინაარსობრივი ცვლილებების გათვალისწინება, რომელიც ღირებულებათა გადაფასებამ მოიტანა და ტრადიციული მიდგომის ფარგლებში შეუძლებელი იყო მათი გათვალისწინება. პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა *სლავური ფილოლოგიის* დარგში, მოამზადოს ის როგორც ფილოლოგი-სლავისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროებში.

პროგრამაში სწავლების ახლებური ტექნოლოგიების ჩართვა განაპირობებს სასწავლო მუშაობის დონის, ტემპისა და ფორმების არჩევის შესაძლებლობას და საერთაშორისო პრაქტიკასთან მიახლოებული დიდაქტიკური გარემოსა და აქსიოლოგიური პრინციპების (ზნეობრივი ქცევის, ტოლერანტობის, პასუხისმგებლობის გრძნობის, დამოუკიდებლობის, აქტიურობის და ა.შ.)

ჩამოყალიბებას, რაც პიროვნების წინაშე მდგარ სოციო ემოციური პრობლემების გადაჭრის საფუძველს წარმოადგენს. პროგრამაში დასახულ მიზნების განხორციელება ემყარება სისტემურ მიდგომას და მოითხოვს და განსაზღვრავს მასში შემავალი სტრუქტურული კომპონენტების (მოდულების) ურთიერთდამოკიდებულებას.

სლავმცოდნეობა ფართო გაგებით და სლავური ფილოლოგია კერძოდ, წარმოადგენენ ჰუმანიტარული განათლების უმაღლესი საფეხურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს ევროპისა და ამერიკის არაერთ უნივერსიტეტში. ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევებისა და სპეციალისტების მომზადების გარკვეული ტრადიციები არსებობს საქართველოშიც. წარმოდგენილი პროგრამა „სლავური ფილოლოგია“ შედგენილია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვნად გააფართოვა მრავალმხრივი კონტაქტები სლავური სამყაროს ქვეყნებთან, ზოგი მათგანი კი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორიც გახდა. აქედან გამომდინარე, ისევ დგება აუცილებლობა მოვამზადოთ სლავისტიკისა და კერძოდ სლავური ფილოლოგიის სფეროში ფართო პროფილის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ გამოიყენონ თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის სხვადასხვა სფეროში.

სლავური ქვეყნების ენებისა და ლიტერატურის დარგში საკადრო რეზერვის ფორმირება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს ეფუძნება და ორიენტირებულია სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც შეეძლებათ ამ ქვეყნებთან ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში მოამზადონ მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან - „რუსული ფილოლოგია“, „პოლონური ფილოლოგია“, „უკრაინული ფილოლოგია“. თითოეული მათგანი ორიენტირებულია სლავური სამყაროს კონკრეტული ქვეყნის ჰუმანიტარულ დისციპლინათა ციკლის სიღრმისეულ შესწავლაზე.

პროგრამაში შემავალი საგნები (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი) უზრუნველყოფენ აღნიშნული სფეროს ფუნდამენტური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის, მყარი უნარ-ჩვევების შექმნას, და ორიენტირებულია ენისა და ლიტერატურის ფაქტების დამოუკიდებელი, შემოქმედებითი გააზრების უნარის ფორმირებაზე მათი განვითარების ტენდენციათა და მეცნიერების ახალი პარადიგმის გათვალისწინებით.

პროგრამის პირველი მოდული - „რუსული ფილოლოგია“ - აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხანგრძლივ ტრადიციებს ჰუმანიტარულ განათლების სფეროში და ამავდროულად ახლებურ ინტერპრეტაციას აძლევს რუსული ენისა და ლიტერატურის საკვანძო პრობლემებს. აღნიშნული მოდულის აქტუალობას განაპირობებს მისი გამოყენებითი ხასიათი, რაც ითვალისწინებს ფართო პროფილის სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც შეეძლებათ თანამედროვე რუსული ფილოლოგიის, კულტურის, ტრადიციების და მიმდინარე პროცესების გააზრება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

მეორე მოდული წარმოადგენს „პოლონური ფილოლოგია“, რაც განპირობებულია როგორც ისტორიული ტრადიციით (ორსაუკუნოვანი ქართულ პოლონური კონტაქტები, საუნივერსიტეტო ტრადიცია), ასევე პოლონური ენისა და კულტურისადმი მზარდი ინტერესით ქართულ პოლონური სტრატეგიული პარტნიორობის ფონზე, რისი დასტურიცაა ქართულ პოლონური ურთიერთობისადმი მიძღვნილი არაერთი საერთაშორისო კონფერენცია, ერთობლივი სამეცნიერო შრომათა კრებულების გამოცემა, სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები და სხვ.

პროგრამის მესამე მოდული წარმოდგენილია უკრაინული ფილოლოგიით, რაც განპირობებულია ქართულ უკრაინული კონტაქტების განსაკუთრებული ხასიათით, რომელიც მოიცავს ურთიერთობის ფართო სფეროებს, მათ შორის საგანმანათლებლოსაც. თსუ ში წლების განმავლობაში ისწავლებოდა უკრაინული ენა და ლიტერატურა, ფუნქციონირებდა კლუბი „უკრაინა“, ითარგმნებოდა ქართულიდან უკრაინულად და უკრაინულიდან ქართულად მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, განათლების, მათი დარგების/ქვედარგების ბაკალავრის ხარისხი; ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს რუსული ფილოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამა.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- წერთი სასპეციალიზაციო გამოცდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

სწავლის შედეგები:

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები სლავური ფილოლოგიის დისციპლინებში. დარგს ფლობდეს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას უნდა შეეძლოს დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. მაგისტრს უნდა ჰქონდეს კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, გააჩნდეს დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მაგისტრანტს ჩამოყალიბდება სლავური ფილოლოგიის უმთავრესი პრობლემატიკის სრულყოფილი, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;
- მაგისტრანტი გაეცნობა სლავური მენტალობის ტიპობრივი გამოვლინების სურათს ენობრივი ცნობიერებების მაგალითზე; სლავების როგორც ეთნოკულტურული ერთობლიობის სულიერი განვითარების თავისებურებებს სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტში;
- მაგისტრანტს ეცოდინება ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები;
- მაგისტრანტს სიღრმისეული ცოდნა ექნება ენისა და ლიტერატურის, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე, მათ ერთიანობასა და მრავალფეროვნებაზე;
- მიიღებს ეთნოლინგვისტიკის ძირითადი დებულებების ცოდნას ;
- შეექმნება ფართო წარმოდგენა სლავი ხალხის კულტურის ისტორიის შესახებ;
- მიიღებს შესაბამისი სლავური ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურული კონტაქტებისა და პროცესების, განვითარების ტენდენციების, ახალი აქსიოლოგიის სისტემურ ცოდნას;
- გარკვეულია თარგმანის სტილისტიკის ძირითად დებულებებსა და ცნებებში;
- მაგისტრანტი დაეუფლება სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს;
- მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

რუსული ფილოლოგიის მოდულის მაგისტრანტი

- სრულყოფილად დაუფლებული რუსული ენის პრაქტიკულ ცოდნას;
- საფუძვლიანად ერკვევა თანამედროვე რუსული ენის ორთოლოგიის პრობლემებში, ნორმის ცნების კომუნიკაციურ არსში, ორთოლოგიისა და მეტყველების კულტურის კავშირებში;
- იცნობს მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის სხვადასხვა მიდგომისა და ინტერპრეტაციის ხერხებს;
- იცის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების მდიდარი ისტორიის განვითარების ტენდენციების ძირითადი მომენტები;
- მაგისტრანტს აქვს თარგმანში ინფორმაციული ტექნოლოგიების თეორიული საფუძვლების ცოდნა; კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის საფუძვლების ცოდნა; ტექსტური რეპრეზენტაციის მექანიზმების ცოდნა;
- ცოდნა მედიაკომუნიკაციის ენობრივი თავისებურებების როლისა და მნიშვნელობის შესახებ; მედიაკომუნიკაციის ენობრივი ტექნოლოგიების როლის შესახებ განათლებამში; ცოდნა მედიაკომუნიკაციის როგორც სწავლების საშუალების თავისებურებების შესახებ;
- თანამედროვე მასობრივი რუსული ლიტერატურის ცოდნა;
- ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის ტექნოლოგიური და ტექნიკური თავისებურებების ცოდნა;
- ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის საკვანძო საკითხების ცოდნა კონკრეტული პრინციპების გათვალისწინებით.

პოლონური ფილოლოგიის მოდულის მაგისტრანტი

- ფლობს პოლონური ენის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- გარკვეულია თარგმანის სტილისტიკის ძირითად დებულებებსა და ცნებებში;
- მაგისტრანტმა იცის თანამედროვე პოლონური ლიტერატურის ძირითადი მომენტები და განვითარების ტენდენციები;
- იცის ქართულ-პოლონური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების მდიდარი ისტორიის ძირითადი მომენტები;
- მაგისტრანტს მიღებული აქვს ფართო წარმოდგენა თანამედროვე პოლონურ ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა მიმართულებებისა და სკოლების შესახებ;
- აქვს პოლონეთის ისტორიის ძირითადი ფაქტების, თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის, პოლიტიკისა ცოდნა;
- აქვს თანამედროვე პოლონური რეალიების (ტრადიციები, დღესასწაულები, გეოგრაფიული ცნობები) ცოდნა.

უკრაინული ფილოლოგიის მოდულის მაგისტრანტი

- ფლობს უკრაინული ენის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- იცნობს XIX-XX სს-ის უკრაინული ლიტერატურის ძირითად პრობლემემატიკას, უკრაინული ლიტერატურული ძეგლების ეროვნულ თავისებურებებს.
- გარკვეულია თარგმანის სტილისტიკის ძირითად დებულებებსა და ცნებებში;
- მაგისტრანტმა იცის უკრაინული ლიტერატურის ძირითადი მომენტები და განვითარების ტენდენციები; აცნობიერებს უკრაინული ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში;
- მაგისტრანტს აქვს ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური კონტაქტების მდიდარი ისტორიის ცოდნა;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ისეთი საბაზო კომპეტენციების განვითარებაზე, რაც საშუალებას მისცემს მომავალ სპეციალისტებს იმუშაონ საერთაშორისო საინფორმაციო სივრცის გლობალიზაციის პირობებში. პროგრამა წარმოადგენს გამოყენებითი და აკადემიური ცოდნის სინთეზს, ორიენტირებულია დისციპლინათშორის ხასიათზე და შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე, აძლევს მაგისტრებს შესაძლებლობას მომავალში მოახდინონ მიღებული

ცოდნის ადაპტაცია თანამედროვე კომუნიკაციურ გარემოსთან და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

პროგრამის ათვისება უზრუნველყოფს სლავური სამყაროს კომუნიკაციურ სივრცეში თავისუფლად ორიენტირების და ჩამოყალიბებული საექსპერტო დასკვნების გაკეთების უნარის შემუშავებას, კონკრეტულ პროფესიულ სფეროებში მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას, პრობლემათა საექსპერტო ანალიტიკური და პროფესიული შეფასების უნარის ფორმირებას.

მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

ფილოლოგიის მაგისტრს (სპეციალიზაციით რუსული ფილოლოგია, პოლონური ფილოლოგია, უკრაინული ფილოლოგია) შეუძლია ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას; სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრმა იცის ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, მას შეუძლია შეადგინოს მონაცემთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ფილოლოგიის მაგისტრს (სპეციალიზაციით რუსული ფილოლოგია, პოლონური ფილოლოგია, უკრაინული ფილოლოგია) შეუძლია ზოგადად ფილოლოგიის და კერძოდ, სლავური ფილოლოგიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი.

რუსული ფილოლოგიის მოდულის მაგისტრანტი

- ფლობს რუსულ ენას და იყენებს მას პრაქტიკული, აკადემიური და სამეცნიერო მიზნებისთვის;
- ფლობს რუსული მხატვრული ტექსტის ანალიზის სხვადასხვა მეთოდს;
- მაგისტრანტს აქვს ლიტერატურული მიმდინარეობების ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- აქვს ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული დებულებების გამოყენების უნარი კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებების გააზრებისათვის,
- აქვს მედიაკომუნიკაციის საშუალებათა განათლებაში, რუსულის როგორც უცხო ენის სწავლებაში გამოყენების უნარ-ჩვევები,
- აქვს ინფორმატიკის ტექსტების ენობრივი თავისებურებების ანალიზის და თეორიულად გააზრების უნარი;
- აქვს ინტერნეტ-რესურსის ბაზაზე ახალი იდეების შემუშავებისა და ცალკეული ამოცანების გადასაწყვეტა ორიგინალური გზების მოძიების უნარი,
- აქვს უნარი განასხვავოს სისტემური ცვლილებები და სამეტყველო შეცდომები, რომელიც გავრცელებულია თანამედროვე რუსულენოვან გამოცემებში,
- აქვს უნარი კვალიფიციურად შეაფასოს თანამედროვე რუსულ ენაში მოქმედი და ბეჭდური გამოცემების პრაქტიკაში ასახული ტენდენციები

პოლონური ფილოლოგიის მოდულის მაგისტრანტი

- ფლობს პოლონურ ენას და იყენებს მას პრაქტიკული, აკადემიური და სამეცნიერო მიზნებისთვის;
- ფლობს პოლონური მხატვრული ტექსტის ანალიზის სხვადასხვა მეთოდს;
- ფლობს კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლისადმი მრავალმხრივი მიდგომის უნარ-ჩვევებს,
- მაგისტრანტს აქვს პოლონური ენიდან თარგმანის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- აქვს ლიტერატურული მიმდინარეობების ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- აქვს პოლონეთის ისტორიის კონკრეტული ეპოქის ლიტერატურული თუ კულტურული მოვლენების ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- აქვს პარემიოლოგიურ ერთეულებში ასახული სლავური სამყაროს ეთნოენობრივი სტერეოტიპების ანალიზის და თეორიულად გააზრების უნარი;
- აქვს მხატვრული ტექსტის ანალიზური კითხვის უნარ-ჩვევები.

უკრაინული ფილოლოგიის მოდულის მაგისტრანტი

- ფლობს უკრაინულ ენას და იყენებს მას პრაქტიკული, აკადემიური და სამეცნიერო მიზნებისთვის;
- მაგისტრანტს აქვს უკრაინული ენიდან თარგმანის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ფლობს უკრაინული მხატვრული ტექსტის ანალიზის სხვადასხვა მეთოდს;
- აქვს ლიტერატურული მიმდინარეობების ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- აქვს უკრაინული ლიტერატურული თუ კულტურული მოვლენების ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

გ) დასკვნის უნარი

- სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; პროგრამით შეთავაზებული სამეცნიერო თვალსაზრისების უმდიდრესი სპექტრი ავითარებს კრიტიკულ ანალიზის და ამ ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების სინთეზის, კარგად ცნობილი მონაცემებით თვისებრივად ახალი დასკვნების გამოტანის უნარს;
- შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი სლავური ფილოლოგიის სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის (ზეპირი თუ წერილობითი) ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიზაში და დიაქრონიზაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.
- მაგისტრანტს აქვს ცოდნის ინტეგრაციის უნარი
- ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მაგისტრანტს შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

დ) კომუნიკაციის უნარი

- პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალასპექტიანი პრობლემების კვლევას სლავური ფილოლოგიის დარგში, რომლებიც მოითხოვს თანამშრომლობას, ჯგუფში მუშაობას.
- სწავლის შედეგად შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეეძლება ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული და კომპეტენტური ურთიერთობა როგორც ქართულ, ისე უცხოელ (მათ შორის, რუს) კოლეგებთან, აკადემიურ წრეებში.
- უცხო ენის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეეძლება სლავურ ფილოლოგიაში არსებული უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და ამ ინფორმაციის აკადემიურ დონეზე გამოყენება;

- კურსდამთავრებულს შეეძლება უცხოელ კოლეგებთან როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ინფორმაციის გაცვლა და სამეცნიერო დისკუსიებში ჩართვა; ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა.
- მაგისტრს აქვს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; სიტუაციაში ადაპტაციისა და აკადემიური მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი; დისკუსიებში მონაწილეობის, პოლემიკის წარმოების უნარი; კულტურათა დიალოგში მონაწილეობის და დებატების უნარი; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.
- მაგისტრს აქვს კომუნიკაციური აქტივობის უნარი კონოტაციური ველის გაფართოების და დაზუსტების საფუძველზე; შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; სლავური ფილოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემთა მოძიების, განმარტების და გამოყენების უნარი.
- აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;
- აქვს ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

ე) სწავლის უნარი

სლავური ფილოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გადრმავეების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ვ) ღირებულებები –

სლავური ფილოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური

თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი დავალებები და სხვ.).

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შეზრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.

მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა: უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №77/2011 25.07.11 დადგენილებით „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კულტურულ და მთარგმნელობით ცენტრებში, ბიბლიოთეკებში, გამომცემლობებში, მასმედიაში და საინფორმაციო-ანალიტიკურ სფეროებში, დიპლომატიურ სამსახურში, საერთაშორისო სავაჭრო და კულტურულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებში, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი 1

სასწავლო კურსის სილაბუსები: იხ. დანართი № 2

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

მარიამ ფილინა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარინა ალექსიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

(CV - იხილეთ დანართი).

დამატებითი ინფორმაცია:

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

დავით გოცირიძე - სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

მარიამ ფილინა - სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

მარინა ალექსიძე - ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ნატალია ბასილაია - ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

მაია თუხარელია - ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ნოდარ ფორაქიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

ნათელა ჭოხონელიძე - ემერიტუს-პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. რუსისტიკის ინსტიტუტი აღჭურვილია სასწავლო ტექნიკით (ტელევიზორი, კომპიუტერი, აუდიო და ვიდეოკასეტები, კომპაქტ-დისკები). სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე რუსისტიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: სლავური ფილოლოგია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა (120 კრედიტი)

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები / კოორდინატორები: სრული პროფესორი მარიამ ფილინა,
ასოცირებული პროფესორი მარინა ალექსიძე.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011 (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე).

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლები ს სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუ	ლექცია-პრაქტიკუმებისა	შუალედური გამოცდის/გამო	დასკვნითი გამოცდის			შემოდგომა	გაზაფხული	
1	სლავური კულტურისა და დამწერლობის სათავეები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე		II	მ. ფილინა
2	სლავური სამყაროს ეთნოფსიქოლინგვისტიკა	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		დ. გოცირიძე

3	რუსული სამეცნიერო დისკურსი	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. ბასილაია
4	უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. ფორაქიშვილი
5	რუსული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. ალექსიძე
6	რუსულენოვანი მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. თუხარელი
არჩევითი მოდულები – 40 კრედიტი (ECTS)												
I მოდული: რუსული ფილოლოგია. სავალდებულო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
1	რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზის პრინციპები და მეთოდები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. ფილინა
2	რუსული მასობრივი ლიტერატურა	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. თუხარელი
3	აქტიური პროცესები თანამედროვე რუსულ ენაში	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე		II	მ. ალექსიძე
4.	ენობრივი კოდი მედიაკომუნიკაციაში	5	30	15	60	4-4(8)	9	3		I		ნ. ბასილაია
5	რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. თუხარელი
6	თანამედროვე რუსული ორთოლოგია	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. ალექსიძე
7.	თანამედროვე რუსული ლიტერატურათმცოდნეობის შეფასებითი კრეტერიუმები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე		I	ნ. ფორაქიშვილი
8.	რუსეთის უახლესი ისტორია (1945-2006)	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე		II	გ. ჟუჟუნაშვილი

II მოდული: პოლონური ფილოლოგია. სავალდებულო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
1.	თანამედროვე პოლონური ლიტერატურის აქტუალური პრობლემები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. ფილინა
2.	პრაქტიკული კურსი პოლონური ენიდან თარგმანში	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. ფილინა
3.	პოლონური ენა 1	15	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. ფილინა
4.	პოლონური ენა 2	15	30	15	60	4-4(8)	9	3	პოლონური ენა 1		II	მ. ფილინა
5.	სლავური პარემიოლოგია	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე		II	დ. გოცირიძე
6.	ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. ფილინა
7.	პოლონური მხატვრული ლიტერატურის ტექსტების ანალიზური კითხვა	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		მ. ფილინა
8.	პოლონეთის ისტორია	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	III		გ. ჟუჟუნაშვილი
III მოდული: უკრაინული ფილოლოგია. სავალდებულო სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
1.	უკრაინული ენა 1	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		განა მატვეევა
2.	უკრაინული ენა 2	5	30	15	60	4-4(8)	9	3	უკრაინული ენა 1		II	განა მატვეევა
3.	უკრაინის ისტორია და განვითარების პერსპექტივები	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		პეტრო კონონენკო
4.	უკრაინული ლიტერატურის ძირითადი პრობლემები 1	5	30	15	60	4-4(8)	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ოთარ ბაქანიძე
5.	უკრაინული ლიტერატურის ძირითადი პრობლემები 2	5	30	15	60	4-4(8)	9	3	უკრაინული ლიტერატურის ძირითადი პრობლემები 1		II	ოთარ ბაქანიძე
6.	უკრაინულ-ქართული	5	30	15	60	4-4(8)	9	3	უკრაინული ლიტერატურის	III		ოთარ ბაქანიძე

კურსების გარდა მაგისტრანტს არჩევითი საგნების ფარგლებში შეუძლია გაიაროს სამაგისტრო კურსი მონათესავე პროფილის პროგრამიდან (ქართული ფილოლოგია, თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა)												
უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) 2	5	60	45	8	10	2	უცხოური ენა 1 / ტესტი	✓	✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
სამაგისტრო ნაშრომი	30								IV			

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი